საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესია

ბავშვებისთვის ზრუნვა მომავლისათვის ზრუნვაა

15 ივნისს დილის 10 საათზე მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე სესიამ.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ი. ბ. აბაშიძე, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები **ნ. ვ. გურგენიძე, ნ. ვ. ვახაძე, თ. შ. კაბულოვა, ო. ნ. კარბა.**

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: **ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ფ. ს. ხანაკოევი, ჟ. კ. შარტავა,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მთავრობის წევრები.

სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ **დ. დ. მალაშვილს**, რომელმაც გააკეთა მოხსენება გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეულთა უფლებამოსილების შემოწმების შესახებ.

დეპუტატები ერთხმად ცნობენ ახლად არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილებას.

მტკიცდება სესიის მუშაობის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილისა და პრეზიდიუმის შემადგენლობის ცვლილებათა შესახებ.

2. 1979 წლის ბავშვის საერთაშორისო წლად გამოცხადების გამო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლიდან გამომდინარე ამოცანების შესაბამისად სკოლამდელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის გაუმჯობესების საქმეში საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული როლის ამაღლების შესახებ.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების არჩევნების თაობაზე საქართველოს სსრ კანონების შესახებ.

4. ინფორმაცია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეათე და მეთერთმეტე სესიებს შუა პერიოდში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ **ლ. ბ. მარშანიას.** აფხაზეთის ასსრ პარტიული და საბჭოთა ორგანოების დავალებით მას შემოაქვს წინადადება გაათავისუფლონ ამხ. **ბ. ვ. შინკუბა** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან პენსიაში გასვლასთან დაკავშირებით და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიონ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ვალერიან ოსმანის ძე კობახია.**

უმაღლესი საბჭო ერთსულოვნად ამტკიცებს ამ წინადადებებს.

იმასთან დაკავშირებით, რომ დეპუტატი **ბ. თ. ლობჟანიძე** შეყვანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემადგენლობაში, სხდომის თავმჯდომარის წინადადებით დეპუტატებმა იგი გამოიყვანეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობიდან. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ერთხმად აირჩიეს დეპუტატი **გ. დ. გაბუნია** — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა **ზ. ა. პატარიძემ.**

მოხსენების გამო დაიწყო კამათი.

გუშინ სესიამ მუშაობა დაამთავრა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 112
(6423)

16 1979 წ.
ივნისი,
შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

● სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

ლიდერი კვლავ ორია

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 14 ივნისი.

„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) 3:1 (1:0).

„ДИНАМО“: გოგია, ხიზანიშვილი, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (სულაქველიძე), მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„ტორპედო“: ჩანოვი, კრუგლოვი, ჟუპიკოვი, ბუტურლაკინი, პრიგოდა, პეტრენკო, ლოსევი, ვასილიევი, იურინი, ვანიუშკინი (სახაროვი), ხრაბროსტინი (გრიშინი).

მსაჯი ა. პოლიკანოვი (ლენინგრადი).

მოსკოვის „ტორპედო“! დიდი ხანია ეს გუნდი ერთ-ერთი ყველაზე უფრო საინტერესო და ძნელი მეტოქეა თბილისის „დინამოსთვის“ საკავშირო ჩემპიონატებისა და თასის გათამაშებებში. იხსენებ ამ ორი გუნდის გარდასულ წელთა მატჩებს და თვალწინ ცოცხლდება უკიდურესად დაძაბული, საინტერესო, უშეღავათო, ნამდვილი დიდი ფეხბურთით აღსავსე შეხვედრები. თითქმის ყოველი მატჩი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს ღრმაშინაარსიანი თამაშით, გამოჩენილ ტორპედოელ ოსტატთა გამოსვლას მოუთმენლად ველოდით მუდამ თბილისში.

ეს ისტორიაა და მასთან ერთად — ტრადიციაც. ჩვენ გვახსოვს 1938 წელი, როცა მოსკოვის „ტორპედო“ ჩარიცხეს უმაღლეს ლიგაში. მაშინ იქ გამოდიოდნენ პირველხარისხოვანი ფეხბურთელები

(დასასრული მე-3 გვ.).

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რ. შენგელიას გააქვს პირველი გოლი სტუმრების კარში.

გ. დოლენჯაშვილის ფოტო.

● ჭადრაკი

საერთაშორისო ტურნირები...

ნოვი-სადში (იუგოსლავია) გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 14 მოჭადრაკე მონაწილეობს. X ტურში ნ. ალექსანდრიამ სძლია ოსტატ ვ. ველიჩს (იუგოსლავია) და მას ახლა 8,5 ქულა აქვს. ლიდერს ქულით ჩამორჩებიან დიდოსტატი ჟ. ვერეცი-პეტრონიჩი (უნგრეთი) და საერთაშორისო ოსტატი ჰ. ერენსკა (პოლონეთი).

პორტოროჟში (იუგოსლავია) მიმდინარეობს ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომლის მონაწილეთა შორის საბჭოთა დიდოსტატებიც არიან. 7 ტურის შემდეგ ლიდერობენ დანიელი ბ. ლარსენი და უნგრელი ზ. რიბლი — 5,5-5,5 ქულა. 5-5 ქულა აქვთ გ. კუზმინსა (სსრ კავშირი) და ჰოლანდიელ ი. ტიმანს. მეორე საბჭოთა მოჭადრაკემ ვ. ცეშკოვსკიმ 3,5 ქულა დააგროვა.

კეჩკემეტი (უნგრეთი). აქ ტარდება უნგრელი საჭადრაკო მოღვაწის ლასლო ტოტის ხსოვნისადმი მიძღვნილი VII საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ბულგარეთის, უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთისა და რუმინეთის მოჭადრაკეები.

8 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან ნოგეირასი (უნგრეთი) — 6 ქულა, ვაჰანიანი (სსრ კავშირი) — 5,5, შუბა (რუმინეთი) — 5.

მატჩები ტელეტაიპით

კუბის საინფორმაციო სააგენტომ პრენსა-ლატინამ თავისი არსებობის 20 წლისთავს მიუძღვნა საჭადრაკო მატჩი კუბა — ამერიკა. მატჩის მსვლელობაში ექვსი კუბელი მოჭადრაკე შეხვდება ვენესუელის, მექსიკის, კანადისა და კოლუმბიის ოსტატებს. სვლები გადაიცემა ტელეტაიპით.

პირველ შეხვედრაში კუბელებმა გაიმარჯვეს კოლუმბიის გუნდთან — 3,5:2,5. კუბელმა საერთაშორისო ოსტატმა ხ. ფერნანდესმა მოუგო ბ. დე გრეიფს.

„თეთრი ეტლის“ ფინიში

ვოროშილოვგრადის ოლქის ქალაქ ანტრაციტში დამთავრდა „თეთრი ეტლის“ კლუბის პრიზის საკავშირო ფინალური გათამაშება.

პრიზი მოიპოვა მაგნიტოგორსკის მე-16 საშუალო სკოლის გუნდმა — 15,5 ქულა. II ადგილი ხვდა ვოლგოგრადის მე-8 საშუალო სკოლის კოლექტივს — 14,5, III — ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის მოჭადრაკეებს.

დარჩა ორი ტური

მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირზე კიდევ ორი ტური შედგა. თბილისელი ნანა იოსელიანი უნგრელ გროშსა და მოსკოველ ზაიცევას შეხვდა და ორივე შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდა. 11 ტურის შემდეგ მას 9 ქულა აქვს და შეჯიბრების ერთპიროვნული ლიდერია. კრასნოიარსკელ ე. ახმილოვსკაიასა და ლენინგრადელ ი. ლევიტინას 6,5-6,5 ქულა და 2-2 გადადებული პარტია აქვთ. შეჯიბრების დასასრულამდე ორი ტური დარჩა.

● კალათბურთი

19 ქულით...

იტალიის ქალაქ ტურინში მიმდინარე კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპული ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში პირველი გამარჯვება იზეიმეს მასპინძლებმა, იტალიელებმა. მათ დაამარცხეს ისრაელის გუნდი — 90:78. ბრწყინვალედ ითამაშეს საბჭოთა კალათბურთელებმა, რომლებმაც მოუგეს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს, იუგოსლავიელებს — 96:77 (41:34). დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — იუგოსლავია — 79:97, ესპანეთი — ისრაელი — 84:88.

● ჩოგბურთი

კვლავ ა. მეტრეველი

მინსკში დამთავრდა ჩოგბურთელთა ტრადიციული ტურნირი სსრ კავშირის გმირის ა. გროშევის პრიზზე, რომელშიც მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, თბილისის, დუშანბეს, ტაშკენტის, ფრუნზესა და მინსკის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ასპარეზობაში ტრავმით გამოწვეული ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ გამოდიოდა სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეტრეველი, რომლისთვისაც ეს ტურნირი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის წინ ძალების სერიოზული შემოწმება იყო.

ფინალში ა. მეტრეველი შეხვდა ახალგაზრდა მინსკელ ჩოგბურთელს ს. ლეონიუკს და გაიმარჯვა ანგარიშით 6:4, 6:3, 6:1.

მეცნიერთა შორის — უძლიერესნი

რიგაში გაიმართა მეცნიერებათა აკადემიების საკავშირო გუნდური შეჯიბრება ჩოგბურთში, რომელშიც 12 კოლექტივი გამოდიოდა. კორტზე იყო მეცნიერებათა ოცი დოქტორი და კანდიდატი, 13 სპორტის ოსტატი და 23 პირველთანრიგოსანი.

საინტერესო ასპარეზობა საქართველოს ნაკრების გამარჯვებით დამთავრდა.

● ფარიკაობა

კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე

პოლონეთის ქალაქ ოპოლეში მიმდინარე მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირზე საბჭოთა რაპირისტმა ქალებმა კვარცხლბეკის სამივე საფეხური დაიკავეს. ჩემპიონი გამოვლინდა მინსკელ ი. უშაკოვასა და ორჯონიკიძელ ზ. ზახოვას დამატებით ორთაბრძოლაში, რომელიც პირველის გამარჯვებით აღინიშნა. მესამე ადგილზე გავიდა კიეველი ა. დიმიტრენკო.

შესანიშნავად იასპარეზეს აგრეთვე, საბჭოთა რაპირისტმა ვაჟებმა, რომლებმაც გუნდური ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრა მოუგეს მსოფლიოს ჩემპიონებს, პოლონელ მუშკეტერებს — 9:5. პირად შეჯიბრებაში კიეველი ს. კოსტენკო მეხუთე ადგილზე გავიდა. აქ უძლიერესი იყო ლ. კოზიევსკი (პოლონეთი).

ОНАТА СССР ПО ФУТБО



ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიულ ძეგლებს — მზრუნველი ხელი

„სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეს.
ისტორიული ძეგლების და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა მოვალეობაა“.

(სსრ კავშირის კონსტიტუციიდან).

ფიქრები ციხე-ქალაქში

უჯარმის ციხე-ქალაქიდან დიდებული პეიზაჟი იშლება: ტყით შემოსილი, ამწვანებული მთა-გორაკები, უძირო, ლურჯი ზეცა და მდინარე ივრის ხეობა, ისე მოსჩანს მასზე მაღალი მთები, თითქოს ხელის გულზე გადაშლილაო. იორი მოქნეული მათრახივით დაკლაკნილა და ვერცხლისწყალივით ელვარებს.

აქაურობამ დიდი აღმავლობა განიცადა V საუკუნის მეორე ნახევარში, როცა უჯარმა თავის ერთ-ერთ რეზიდენციად აქცია ვახტანგ გორგასალმა. შემდეგ, ჟამთა მსვლელობასა თუ ძნელბედობას უჯარმა ნაქალაქარად და ნანგრევებად უქცევია.

ახლახანს თბილისელ ტურისტთა ერთ მცირე ჯგუფთან ერთად უჯარმის ციტადელი მოვინახულე. ტურისტები შეკრება-შეჯიბრებიდან შინ ბრუნდებოდნენ. გულმა არ მოუთმინათ და ერთხელ კიდევ მოვიდნენ საქართველოს ისტორიის ამ ძვირფას ძეგლთან. იქედან, ივრის სანაპიროზე თბილისელ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრების ადგილიც მოსჩანდა. გავყურებდით მათ სარბიელს და თან ფიქრები მეძალებოდა ჩვენს ტურისტებზე.

მოძალებულ ფიქრებზე ქვემოთ მოგახსენებთ. მანამდე კი თბილისელ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებაზე გიამბობთ.

მათ, ცოტა არ იყოს, დაუგვიანდათ ტურისტული სეზონის გახსნა. მაგრამ, ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასოდესო და, უჯარმაში დედაქალაქის სასწავლებლების, წარმოება-დაწესებულებებისა და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტურისტთა 42 გუნდმა მოიყარა თავი. ვიდრე აქ ჩამოვიდოდნენ, ერთი კვირით ადრე თბილისში, ბაგებიდან აიღეს სტარტი — კუს ტბისა და წყნეთის მიდამოები შემოიარეს, მშდ-ს მრავალჭიდის პროგრამით ტურისტულ ლაშქრობაში მასობრივად აბარებდნენ ნორმატივებს. იქ ორგანიზებული გამოსვლით თავი გამოიჩინეს მე-5 და 51-ე პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებმა. უჯარმაში კი, საყოველთაო მოწონება დაიმსახურეს სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის მოსწავლეებმა და იმ ქვეგანაყოფის ჯარისკაცებმა, რომლებსაც ვ. კაბაჩაძე და ბ. შინდიკაშვილი მეთაურობდნენ.

ისინი რომ არა, ვინ იცის, საღამოჟამს წვიმისგან მოულოდნელად ადიდებულ და აბობოქრებულ იორს „კარვების ქალაქიც“ წაელეკა.

სპორტულ სარბიელზე ყველაზე მეტად დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბმა „განთიადმა“ გამოიჩინა თავი — საერთო გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა. მეორე იყო სავაჭრო-კულინარული სასწავლებლის გუნდი, ხოლო მესამე — თბილისის უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის კურსანტთა ჯგუფი.

ახლა კი უჯარმის ნაქალაქარზე მოძალებულ ფიქრებს დავუბრუნდეთ.

თქმა არ უნდა, ტურისტულ ბილიკებზე გამარჯვებისთვის ხალისით, მონდომებითა და თავდაუზოგავად ბრძოლა მოსაწონია და მისასალმებელი. ოღონდაც, ბუნებრივია, ტურიზმი თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებს, თუ კაცი არ გაეცნობა მშობლიურ მხარეს, მისი ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. სოცარი კია, ტურისტთა სარბიელიდან უჯარმის ნაქალაქარი ცხრამთას იქით არ ყოფილა, მაგრამ მის სანახავად სულ რამდენიმე ჯგუფი თუ გაეშურა.

იქნებ ვინმემ თქვას, თბილისელ ტურისტთა შეკრება-შეჯიბრება უჯარმაში ლამის ყოველწლიურად იმართება და ნაქალაქარიც ყველას ნანახი აქვსო. ეს რომ ასე არაა, სამწუხაროდ, უჯარმაშივე დავრწმუნდი.

ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ტურისტებს შეკრება-შეჯიბრებაში გამარჯვების მეტი არაფერი აინტერესებთო. ზოგიც კი მხოლოდ იმისთვის მიდის შეკრება-შეჯიბრების ადგილზე, იქეიფოს, ცოტას რომ შეზარხოშდებიან, მერე სავსე ჭიქებს ერთმანეთს უჭახუნებენ და, ჩვენს საქართველოს გაუმარჯოსო, გაიძახიან. მოდი და დაიჯერე ასეთი კაცის გულწრფელობა, პატრიოტიზმი, რომელსაც თავის კუთხეში ბევრი არაფერი უნახავს და, თუ ცოტა რამ მაინც უნახავს, თითი თითზე არ დაუდია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლისა და ბუნების დაცვისთვის. ამას რომ ვამბობ, **ნიკო კეცხოველის** სიტყვები მახსენდება, ორიოდე წლის წინათ რომ მითხრა:

„ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოში ტურიზმის საქმე ჯერჯერობით ისეა დაყენებული, რომ ბუნება უნდა დავიცვათ... ტურისტებისაგან. ტურისტთა ნაბანაკარს ხშირად არავითარი კულტურა არ ეტყობა. ყრია საჭმლის ნარჩენები, ქაღალდები, წამოქცეული ხეები... წყლის ნაპირთან მისვლა შეუძლებელია, იმდენადაა დანაგვიანებული.

არ არის მოწყობილი ტურისტული მარშრუტები, რომ კაცმა დასასვენებელი და ცეცხლის დასანთები ადგილები ნახოს...

მე რომ მკითხოთ, ტურისტებისთვის ხელმისაწვდომად ყველა ხეობას არ გავხდიდი. ამოვირჩევდი რამდენიმე ხეობას, კეთილმოვაწყობდი მათ. სხვა ხეობებს კი ერთი ათი წლით მაინც დავხურავდი და გუშაგებს დავუყენებდი. შემდეგ ძველ მარშრუტებს დავხურავდი და „ახალ“ ხეობებს გავხსნიდი.

ტურისტი პირველ რიგში ბუნების დამცველი უნდა იყოს. არასოდეს უნდა დავივიწყოთ, რომ მის მიერ მოჭრილი თუნდაც პატარა ხე აძლიერებს „მკერდში დაჭრილი ბუნების“ ტკივილს...

* * *

ტურისტი ისტორიისა და კულტურის ძეგლთა თავგამოდებული დამცველიც უნდა იყოს, მაგრამ, საუბედუროდ, ძალზე ხშირად ტურისტებად და ექსკურსანტებად მონათლულნი დაცვის ნაცვლად ანადგურებენ ჩვენს სიამაყეს. ამის მაგალითად ლამის ყოველი ისტორიული და კულტურული ძეგლი გამოდგება. ამის დასტურად გამოდგება ცნობილი მწერლის, პროფესორ ლევან სანიკიძის სტატიაც, რომელიც ამ დღეებში დაისტამბა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე.

„ერის ძველი და ახალი ძეგლები მისი ეროვნული ნიჭის, ენერგიისა და განვითარების ნათელმაჩვენებელი სახეა! მეტიც — სიმწიფის ატესტატია“.

ლევან გოთუას ეს სიტყვებიც მახსენდებოდა, როცა უჯარმის ციხე-ქალაქის ჩამოშლილ კედლებს ვათვალიერებდით.

აქაურობას მზრუნველი ხელი დასტყობია. მიწით დაფარული ციტადელი გაუსუფთავებიათ, მორღვეული კედლები გაუმაგრებიათ...

მზრუნველი ხელი თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა რაზმმა გამოიღო, რომელსაც „გორგასალი“ ჰქვია.

რა იქნებოდა, ტურისტებმაც რომ ჩამოაყალიბონ მოხალისეთა და გულშემატკივართა რაზმი, ისეთი, როგორიც „გორგასალია“ და მასსავით ითავებდნენ რომელიმე ძეგლზე ზრუნვას.

ა. გურასაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

უჯარმა.

სურათებზე: უჯარმის ციხე-ქალაქის ნანგრევები; ლაშქრობის მომენტი; „კარვების ქალაქის“ ერთი ნაწილი; კლდიდან დაშვება; მდინარის გადალახვა.

ავტორის ფოტოები.

ვალმოხდილი

პროფესორ გ. ნიკოლაიშვილის დაბადების 80 წლისთავი

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მუშაობდნენ ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ნიჭის, ცოდნის, დიდი გამოცდილებისა და საქმისადმი უანგარო დამოკიდებულების წყალობით წარუშლელი კვალი დატოვეს ამ სასწავლებლის ისტორიაში.

მათ შორის უდაოდ ღირსეული ადგილი უჭირავს პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ გიორგი ბართლომეს-ძე ნიკოლაიშვილს.

1946 წელს, როდესაც გ. ნიკოლაიშვილმა ჩაიბარა ინსტიტუტის პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა, სამუშაოდ ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს. არ გააჩნდათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის საჭირო ბაზა, არ ჰყოფნიდათ აუდიტორიები, არ იყო სათანადო მეთოდური ლიტერატურა, სამაგიეროდ იყო ომისაგან დანგრეული ქვეყნის აღდგენაში უშუალო მონაწილეობის მიღების სურვილი, ახალგაზრდობის წრფელი სიყვარული და ქართული სპორტის მომავალი გამარჯვებების დიდი რწმენა.

ყოველივე ამას ემატებოდა დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, შეუპოვრობა და უტეხი ხასიათი, რაც ბატონ გიორგის ჯერ კიდევ ბავშვობიდან შეუმუშავდა; 8-9 წლის მოსწავლეს ყოველდღიურად 18 კილომეტრის გავლა უხდებოდა, რათა მიეღო დაწყებითი განათლება, შემდეგ არც ქუთაისის გიმნაზიის დამთავრებისა და არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ფსიქოლოგიის განყოფილებაზე სწავლის პერიოდში დაჰკლებია სიძნელეები.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ (1929 წ.) იმ სამუშაო უბნისკენ გაუწია გულმა, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო ახალგაზრდა სპეციალისტის უნარი და ენერგია. იგი იყო დუშეთის განათლების განყოფილების ინსპექტორი, მანგლისის სამაზრო სკოლების გამგე, ამავე დაბის გლეხი ახალგაზრდობის სკოლის გამგე. შემდეგ იგი სათავეში ჩაუყენეს თბილისის ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და დამხმარე სკოლებს; მალე გ. ნიკოლაიშვილის ინიციატივით გაიხსნა ახალი სკოლები, უსინათლოთათვის შეიქმნა ახალი შრიფტები.

სამამულო ომის პერიოდში მას დაკისრებული ჰქონდა ევაკუირებულ და უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა მოწყობა; ამ საქმის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის გ. ნიკოლაიშვილმა მთავრობის ჯილდო დაიმსახურა. მან ომის პერიოდშივე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რის შემდეგაც უძღვებოდა პედაგოგიკის საგნის კურსს შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

დიდად გამოცდილი მოვიდა გ. ნიკოლაიშვილი საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში, შემოიკრიბა ცნობილი პედაგოგები: ვ. ზამბახიძე, ე. აბაშიძე, ვ. ნორაკიძე, მ. ამილახვარი, ე. ქარცივაძე. შემდეგ მათ მხარში ამოუდგნენ ახალგაზრდა აღმზრდელები ქ. კვაჭაძე, გ. დვალი და სხვები. მალე პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრა იქცა ინსტიტუტში სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. გ. ნიკოლაიშვილი ქმნის ფუნდამენტალურ ნაშრომს „ფიზიკური აღზრდის თეორიის ზოგადი საფუძვლები“, რომელიც შემდეგ წარდგენილი და დაცული იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როგორც სადოქტორო დისერტაცია. ამას მოჰყვა სხვა შრომებიც, მონაწილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ სამეცნიერო თავყრილობებზე, რამაც დიდი აღიარება მოუტანა მეცნიერს. ფიზიკური აღზრდის სპეციალისტთა წიგნის თაროებზე დღეს გ. ნიკოლაიშვილის 100-მდე ნაშრომი დევს. ყურადღებას იმსახურებს გ. ნიკოლაიშვილის მიერ დამუშავებული და მეცნიერულად გაანალიზებული „სახალხო განათლებისა და პედაგოგიური კადრების მომზადების სისტემის ახალი ვარიანტი“. ეს ნაშრომი მალე გახდება საერთო განხილვის საგანი.

80 წლის მეცნიერს ხშირად ნახავთ ინსტიტუტისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა უბანზე: უკვე 30 წელია კითხულობს ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით, სათავეში უდგას საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის სამეცნიერო-პედაგოგიურ საბჭოს, 12 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტებს.

...განვლილი 80 წელიწადი ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდას, ჩვენი სპორტსმენების დავაჟკაცებას, ქართული საბჭოთა პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის წინსვლას მოხმარდა უანგაროდ. ყველა, ვინც ამ ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის მოწმეა, დიდი მადლიერების გრძნობასთან ერთად გამოთქვამს გულწრფელ სურვილს, რომ სასიქადულო მეცნიერმა თავისი ცოდნა და მდიდარი გამოცდილება კიდევ დიდხანს მოახმაროს ახალი საზოგადოების მშენებელთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

ა. ციბაძე,
დოცენტი.

ლიდერი კვლავ ორია

დასასრული

ა. სინიაკოვი, პ. პეტროვი, რ. კარიჩევი (იგი ბათუმელი იყო წარმოშობით), ი. კოჩეტკოვი, ვ. მასლოვი, ქ. რიაზანცევი და სხვა შესანიშნავი მოთამაშეები. მას შემდეგ გუნდს არც ერთხელ არ დაუტოვებია უძლიერესთა რიგები. გვახსოვს პირველი მატჩიც, როცა თბილისელები იგებდნენ ანგარიშით 3:0 და ტორპედოელმა პეტროვმა ხუთიოდე წუთში გაქვითა სამივე გოლი — 3:3.

ან ჩვენი თაობის გულშემატკივართაგან ვის დაავიწყდება 1964 წლის ბრწყინვალე მატჩი ჩემპიონის წოდებისთვის ტაშკენტში, რომელიც თბილისის „დინამომ“ მოიგო ანგარიშით 4:1.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ახლა „ტორპედოში“ აღარ არიან ა. პონომარიოვის, ა. სოჩნევის, გ. ქარკოვის, ვ. ივანოვის, ე. სტრელცოვის, ს. მეტრეველის, ვ. ვორონინის, გ. გუსაროვის, ნ. მანოშინის რანგის ფეხბურთელები, გუნდს ველარ ვხვდებით ლიდერთა რიგებში, მაგრამ ტორპედოელებმა მტკიცედ შეინარჩუნეს დაუწერელი სპორტული „მემკვიდრეობა“ და თბილისის დინამოელებთან, როგორც წესი, მუდამ თამაშობენ უკიდურესი მობილიზებით, გაშლილად, საინტერესოდ, ტემპერამენტით.

მთელი ეს პრელუდია 14 ივნისის მატჩის აღწერის წინ დაგვჭირდა იმის სამადლობლად, რომ ძველმა მეტოქეებმა ამ დღესაც მაღალი კლასის, გააზრებული ფეხბურთი გვიჩვენეს და კმაყოფილი დატოვეს მაყურებელი.

მატჩი მართლაც საინტერესო იყო. ტონი მას დინამოელებმა მისცეს, რომლებმაც რამდენიმე სწრაფი, ტემპიანი შეტევის შემდეგ საუკეთესო კომბინაცია გაითამაშეს: ყიფიანმა ბურთი შენგელიას გადააწოდა და ამ უკანასკნელმა რთულ სიტუაციაში ოსტატურად დაარტყა კარში — 1:0.

ტორპედოელებს ძალზე უჭირდათ მეტოქის მთავარი შემტევი სამეულის (გუცაევი, ყიფიანი, შენგელია) იერიშების მოგერიება, მაგრამ დაცვითი რიგების რაოდენობრივი გაძლიერებით, მკაცრი პერსონალური მეურვეობით, მაინც შეძლეს ხიფათის აცილება საკუთარ საჯარიმო მოედანზე, ერთხელაც მათი „მოკავშირე“ ძელი გამოდგა, რომელმაც მოიგერია შენგელიას დარტყმა 30-ე წუთზე.

ამ პერიოდში, ჩვენი აზრით, შემტევი ოპერაციების წარმოებისას მეტი აქტიურობა უნდა გამოეჩინა დინამოელთა ნახევარდაცვის ხაზს, რომელიც რამდენადმე დაცილებული იყო თავდასხმის სამეულს და ზოგჯერ აგვიანებდა საქმეში ჩარევას კარის უშუალო შტურმის დროს.

შესვენების შემდეგ, 49-ე წუთზე, შენგელიამ კვლავ შესანიშნავად ითამაშა, მოატყუა „ტორპედოს“ ორივე სტოპერი და მეორედ აიძულა ჩანოვი ბადიდან გამოეტანა ბურთი — 2:0.

საქმე თითქოს მოთავებული იყო, თბილისელები 2 ბურთით იყვნენ წინ, ტერიტორიული უპირატესობაც საფუძვლიანად ეპყრათ ხელთ, შეტევა შეტევას მოსდევდა, სულაქველიძის დარტყმარის გაპირვებით მოიგერია ჩანოვმა, შენგელიამ ისევ ძელს მოახვედრა ბურთი, მაგრამ „ტორპედომ“ ამ ვითარებაში მაინც შეძლო კონტრთამაშის შექმნა და, თუმცა იგი ხანმოკლე იყო, საპასუხო გოლი გატანილი იქნა. ეს ვასილიევმა 56-ე წუთზე შორი მანძილიდან დარტყმით შეძლო.

საჭირო შეიქნა თამაშის მაქსიმალური გაძლიერება, მთელი რესურსების ამოქმედება, რათა თითქმის გარანტირებული გამარჯვება და ესოდენ საჭირო 2 ქულა თვალსა და ხელს შუა არ გაგვპარვოდა. ისევ „დაიტვირთა“ მოსკოველთა საჯარიმო მოედანი თბილისელი ფეხბურთელებით, ძელმა კვლავ იხსნა სტუმრები გუცაევის დარტყმის შემდეგ და მოსახდენი მოხდა უკვე მაშინ, როცა თამაშის დრო ფინიშს უახლოვდებოდა: ერთ-ერთი შეტევის დროს ჩივაძემ სწრაფად გადაინაცვლა წინ, მიიღო გუცაევის გადაცემა და ზუსტად „ჩააჭედა“ ბურთი კარის ზედა კუთხეში — 3:1.

მატჩი, ვიმეორებთ, ძალზე საინტერესო და დაძაბული იყო, მაგრამ იგი კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ არბიტრს ა. პოლიკანოვს მეტი პრინციპულობა გამოეჩინა უხეშობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მან ვერც ერთხელ ვერ იკისრა ყვითელი ბარათის ჩვენება დამრღვევთათვის და მთელი მატჩის მსვლელობაში მოჩვენებითი მრისხანე სახით რაღაც სენტენციებს უკითხავდა დამრღვევთ. რა თქმა უნდა, თავის დროზე მიღებული მკაცრი და სამართლიანი სანქციები უფრო მეტ ეფექტს გამოიღებდა მინდორზე წესრიგის დასამყარებლად.

ამ ტურის შემდეგ საკავშირო ჩემპიონატში აღდგა ადრინდელი სტატუს-ქვო. ლიდერმა, დონეცკის „შახტიორმა“, მინსკში პირველი მარცხი იწვნია ადგილობრივი „დინამოსგან“ და გათამაშების ცხრილის სათავეში კვლავ ორი გუნდი დგას — „დონეცკის „შახტიორი“ და თბილისის „დინამო“.

ბ. ქორქია.

• • •

სურათზე: სახიფათო მომენტი ტორპედოელთა კართან. თავით თამაშობს თ. სულაქველიძე.

ა. კოტორაშვილისა და კ. შანიძის ფოტო.



უმაღლესი ლიგა

ამ დღეს, მინსკის დინამოელებმა შინ ანგარიშით 2:0 დაამარცხეს დონეცკის „შახტიორი“, კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“ მოუგო ვოროშილოვგრადის „ზარიას“ — 1:0, ხოლო ცსკა-მ შინ წააგო კიევის „დინამოსთან“ — 0:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 16 ივნისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„შახტიორი“	13	9	3	1	21—5	21
„დინამო“ თბ.	13	9	3	1	21—6	21
„დინამო“ მ.	13	8	2	3	15—7	18
„დინამო“ მნ.	13	7	3	3	19—11	17
„დინამო“ კ.	13	7	3	3	14—8	17
„სპარტაკი“	13	6	5	2	15—9	17
„ზენიტი“	13	6	3	4	18—18	15
„არარატი“	14	3	7	4	13—14	13
ასკ რ.	13	2	8	3	12—17	12
ცსკა	13	5	1	7	17—15	11
„ტორპედო“	13	4	3	6	12—14	11
„ჩერნომ.“	14	4	3	7	12—16	11
„ლოკომ.“	13	3	5	5	16—17	11
„ზარია“	14	3	5	6	15—18	11
„ფახთაქორი“	13	3	3	7	13—23	9
„ქაირათი“	13	3	2	8	13—23	8
„ნეფთჩი“	14	2	4	8	5—18	8
„კრ. სოვ.“	13	3	1	9	7—19	7

I ლიგაში

14 ივნისს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების გამოტოვებული მატჩი იაროსლავლის „შინიკსა“ და ლვოვის „კარპატის“ შორის.

ლიდერთა ეს შეხვედრა დამთავრდა „შინიკის“ გამარჯვებით 2:1.

II ლიგა

13 ივნისს გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების მორიგი მატჩები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ ამ შეხვედრათა შესახებ:

„დინამო“ (ზუგდიდი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:0

ზემოაღნიშნული გუნდები გათამაშების ცხრილში ახლო მეზობლები არიან, ამიტომ მათ შეხვედრას პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ზუგდიდელებმა კარგად გაითვალისწინეს ეს გარემოება და თავიდანვე შეუტიეს მეტოქეს. უკვე მე-5 წუთზე მოუხდა „ავტომობილისტის“ მეკარე ჰუსეინოვს იბრაგიმოვის ძლიერი დარტყმის მოგერიება, მცირე ხანს შემდეგ გუნია გავიდა კარგ პოზიციაში და ააცილა დარტყმა მიზანს. შემდგომში სტუმრებმა გამოასწორეს მდგომარეობა და ტაიმი ისე დამთავრდა, ანგარიში არ გახსნილა.

განსაკუთრებით დაიძაბა ბრძოლა მეორე ტაიმში. ახალი განახლებული იყო თამაში, როცა ბაქოელთა საჯარიმო მოედანზე უხეშად ეთამაშნენ ბ. თუთბერიძეს, რისთვისაც დაინიშნა პენალტი, მაგრამ ჰუსეინოვმა შეძლო ნაჭყებიას დარტყმის მოგერიება. შემდეგ ასევე უხეშად ეთამაშნენ თოფურიას და მსაჯმა კვლავ აჩვენა 11-მეტრიან წერტილზე. დინამოელებმა ამჯერად დარტყმა კვარაცხელიას ანდეს, ჰუსეინოვმა კი კვლავ შეძლო ხიფათის უვნებელყოფა.

საბოლოოდ, ზუგდიდელებმა მაინც გაიმარჯვეს: გადამწყვეტი ბურთი ბაქოელთა კარში გაიტანა ნაჭყებიამ.

ბ. ალშიბაია.

დინამო“ (ბათუმი) — „პროგრესი“ (კიროვაბადი) 4:2

კოკისპირულ წვიმაში თამაში ჭირდა, მაგრამ მასპინძლებმა მაინც შეძლეს სწრაფი ტემპის განვითარება, თავიდანვე შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი. მე-7 წუთზე გათამაშდა კომბინაცია გორგილაძე-შელია-ხახუბია და ანგარიშიც გაიხსნა. 25-ე წუთზე იმავე ხახუბიამ კარგად გამოიყენა ბეჟანიძის გადაცემა და კიროვაბადელებს მეორედ მოუხდათ თამაშის დაწყება ცენტრიდან.

ბათუმელებმა ტაიმის დამთავრებამდე კიდევ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას ხახუბია-ბეჟანიძე-გორგილაძის კომბინაციის შემდეგ — 3:0.

მეორე ტაიმში ხახუბიამ შორი მანძილიდან დაარტყა კარში, რის შემდეგ ბურთი კვლავ ამოჩნდა მეკარე ტარასენკოს კარში — 4:0. ამ ანგარიშის შემდეგ მასპინძლებმა ოდნავ მოადუნეს თამაში, შეცდომები დაუშვა მეკარე სურგულაძემ და კიროვაბადელებმა ზედიზედ გაიტანეს 2 საპასუხო გოლი.

შემდგომში ბათუმელებმა კვლავ მიაღწიეს ტერიტორიულ უპირატესობას და შეინარჩუნეს გამარჯვება.

ო. მურვანიძე.

„დილა“ (გორი) — „ლოკომოტივი“ (სამტრედია) 1:1

გასვლით მატჩებში განცდილ წარუმატებლობათა შემდეგ „დილის“

IV ზონა

ფეხბურთელებმა შინ სცადეს 2 ქულის აღება და აქტიურადაც ითამაშეს, მაგრამ ძლიერი წვიმისაგან ატალახებულ მინდორზე შეტევების წარმოება არც ისე იოლი იყო.

გორელებმა უნაყოფოდ დაამთავრეს თავიანთი რამდენიმე იერიში, შემდეგ კი, 35-ე წუთზე, „ლოკომოტივის“ თავდამსხმელმა დარჯანიამ კარგად გამოიყენა თავისი გუნდის კონტრშეტევა და გახსნა ანგარიში.

საჭირო შეიქნა მარცხისაგან თავის დაღწევაზე ფიქრი. 66-ე წუთზე „ლოკომოტივის“ საჯარიმო მოედანზე ჩადენილი უხეშობისათვის დონეცკელმა მსაჯმა მიზერნიმ დანიშნა პენალტი, რომელიც კარგად გამოიყენა ხანიშვილმა — 1:1.

უნდა აღინიშნოს ლოკომოტიველთა არასპორტული საქციელი.

ი. თევდორაშვილი.

სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: „დინამო“ (სოხუმი) — „ყარაბახი“ (სტეფანაკერტი) 0:0. „ხაზარი“ (ლენქორანი) — „დინამო“ (კიროვი) 2:1, „არაზი“ (ნახიჩევანი) — „დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა) 2:1, „არაბკირი“ (ერევანი) — „ზენიტი“ (იჟევსკი) 2:0, „რუბინი“ (ყაზანი) — „გასტელო“ (უფა) 1:1, „ტორპედო“ (ტოლიატი) — „ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) 3:2, „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:1, „კოტაიკი“ (აბოვიანი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 3:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0.

უფის „გასტელოსა“ და ლანჩხუთის „გურიას“ შეხვედრა 9 ივნისს დამთავრდა ანგარიშით 2:0 უფელთა სასარგებლოდ.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 16 ივნისისთვის

	თ.	მ	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„არაზი“	16	10	3	3	27—23	23
„ყარაბახი“	16	10	2	4	19—9	22
„გურია“	16	9	2	5	27—16	20
„კოტაიკი“	16	8	4	4	24—15	20
„ხაზარი“	16	9	1	6	19—25	19
„ლოკომ“.	16	7	5	4	20—12	19
„ზენიტი“	16	6	7	3	16—13	19
„ტურბინა“	16	8	2	6	21—18	18
„დრუჟბა“	16	8	2	6	20—19	18
„დინამო“ ბ.	16	8	1	7	21—22	17
„დინამო“ ზ.	16	7	3	6	13—11	17
„დინამო“ ს.	16	6	5	5	17—20	17
„შირაკი“	16	7	2	7	14—15	16
„დილა“	16	6	3	7	24—21	15
„გასტელო“	16	6	3	7	12—15	15
„ავტომობ.“	16	5	5	6	16—16	15
„ტორპედო“	16	5	4	7	24—19	14
„გაზოვიკი“	16	5	4	7	16—23	14
„რუბინი“	16	4	6	6	18—18	14
„არაბკირი“	16	4	5	7	19—24	13
„კოლხეთი“	16	4	4	8	11—16	12
„პროგრესი“	16	3	4	9	16—24	10
„დინ.“ კრ.	16	3	3	10	10—24	9
„ურალეცი“	16	3	2	11	13—19	8

მოკლედ

◆ ევროპის ეროვნული ჩემპიონატების საუკეთესო სნაიპერის პრიზზე, რომელიც „ფრანს ფუტბოლის“ მიერაა დაწესებული და „ოქროს ბუცი“ ეწოდება, ჯერჯერობით წინაა ჰოლანდიელი კისტი „ალკმაარიდან“: მან 29 მატჩში 31 გოლი გაიტანა. მომდევნო ადგილებზე არიან ავსტრიელი კრანკლი ესპანეთის „ბარსელონიდან“ — 29 (31), ბერძენი მავროსი აეკ-დან — 27 (31) და ბელგიელი ალბერტი— 25 (32).

● ცურვა

მაღალი შედეგები

რომი. აქ მიმდინარე მოცურავეთა ტრადიციულ ტურნირში 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვისას მაღალი შედეგით გაიმარჯვა ლენინგრადელმა მსოფლიოს ჩემპიონმა ი. ბოგდანოვამ — 2.37,05.

100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებისთვის ძირითადად ორი სპორტსმენი იბრძოდა — ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ექს-რეკორდსმენი ჯ. მონტგომერი (აშშ) და 200-მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს რეკორდსმენი, ლენინგრადელი ს. კოპლიაკოვი. გაიმარჯვა ამერიკელმა — 51,76. საბჭოთა სპორტსმენმა 53,09 აჩვენა.

ამავე სახეობის 400 მეტრზე ცურვაში III ადგილი დაიკავა ასევე ლენინგრადელმა სპორტსმენმა ა. კრილოვმა — 4.03,65. აქ საუკეთესო იყო იუგოსლაველი ბ. პეტრიჩი (4.01,33). II ადგილი წილად ხვდა უნგრელ ზ. ვლადარს (4.02,48).

ასპარეზობაში მონაწილეობდნენ აშშ-ს, სსრ კავშირის, უნგრეთის, პოლონეთის, ესპანეთის, საფრანგეთის, გდრ-სა და სხვა ქვეყნების მოცურავეები.

● მძლეოსნობა

რეკორდი დაიბრუნა

დრეზდენის სტადიონზე ჩატარდა 14 ქვეყნის მძლეოსანთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება — „ოლიმპიური დღე“. მასპინძელთა კოლექტივი ქვეყნის პირველი ნაკრებით გამოვიდა, ხოლო სხვებმა თავისი რამდენიმე საუკეთესო წარმომადგენელი გაგზავნეს სასპარეზოდ.

ტურნირის პროგრამის თითქმის ჩვიდმეტივე სახეობაში საუკეთესო შედეგები იქნა ნაჩვენები. განსაკუთრებით აღსანიშნავია რ. ფუქსის (გდრ) წარმატება. მან თავისი პირველი მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორცნაში 1972 წელს დაამყარა და აი, ახლა, მეხუთედ ისახელა თავი — 69,52 მეტრი აჩვენა. ეს 20 სანტიმეტრით აღემატება ამერიკელი კ. შმიდტის მიღწევას.

100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენმა მ. გიორმა კვლავ იმარჯვა — 10,97. მეორე მსოფლიოს რეკორდსმენი (200 და 400 მეტრზე რბენაში) მ. კოხი (ორივე—გდრ) მას 0,23 წამით ჩამორჩა. სიგრძეზე ხტომაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს. 20 წლის დრეზდენელი რ. ნოიბერტი და მისი ბერლინელი თანატოლი ბ. ვუიაკი 673 სანტიმეტრზე გადახტნენ. პირველობა ნოიბერტს მიეკუთვნა.

ვაჟთა ბირთვის კვრაში მსოფლიოს რეკორდსმენს უ. ბეიერს (გდრ) ბადალი არც აქ ჰყავდა — 21,32. საბჭოთა სპორტსმენი ვ. კისელიოვი მესამე იყო — 19,98.

სამაგიეროდ მოსკოველმა ბ. ზაიჩუკმა ისახელა თავი. უროს ტყორცნაში მან 78 სანტიმეტრით აჯობა ე. შტოიკს (გდრ), რომლის შედეგია 76,20 მ. ვაჟების სიგრძეზე ხტომაში გდრ-ის რეკორდი დაამყარა 19 წლის ლ. დომბროვსკიმ — 8,29 მ. ეს შედეგი წლეულს საუკეთესოა მსოფლიოში. მეორე ადგილზე გავიდა ლენინაკანელი ო. სტეპანიანი (სსრ კავშირი) — 7,89. კვლავ ისახელა თავი რ. ბაილშმიდტმა, სიმაღლეზე ხტომაში მან ამ სეზონში მესამედ დაძლია 230 სმ და 3 სანტიმეტრით აჯობა თანაგუნდელ ე. კირსტს (გდრ). 5000 მეტრზე რბენა სტუმრების უპირატესობით ჩატარდა. დიდხანს ლიდერობდა მინსკელი ა. ფედოტკინი, მაგრამ ბოლოს ჩამორჩა და მესამე ადგილს დასჯერდა — 13.26,9. იმარჯვა მ. იფტერმა — 13.24,3, ვოლდე-ჰანა (ორივე — ეთიოპია) მეორე იყო — 13.26,2.





საქართველოს სპარტაკიადის ლაურეატები

როგორც ვიტყობინებოდით, ქუთაისში დამთავრდა საქართველოს VII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ფარიკაობაში.

გთავაზობთ ამ სპარტაკიადის ჩემპიონთა ფოტოსურათებს. მარცხნიდან: დ. სიხარულიძე, ვ. აფციაური, თ. ესართია, გ. ჩიხლაძე.

ი. ხუცურაულის ფოტოები.

ს. კოვაჩი:

„მშურს „დინამოს“ გულშემატკივრებისა“

„ლელოს“ ინტერვიუ

მეგობრულ ვახშამზე, რა თქმა უნდა, იგი ყურადღების ცენტრში იყო. თითქმის არაფერს ჭამდა, ცოტას სვამდა, ბევრს ეწეოდა და... შეუსვენებლივ ლაპარაკობდა. მისი საუბრის დიაპაზონი ჭეშმარიტად უსაზღვრო იყო. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა — სად არ ყოფილა, რა არ უნახავს ამ იმპოზანტური შეხედულების ჭაღარათმიან მამაკაცს. **სტეფან კოვაჩს.**

როგორც პროფესიონალმა ფეხბურთელმა, „თავგადასავლების“ ძებნაში მსოფლიო ფეხბურთის მშფოთვარე ოკეანეში კარგა ხანს „იცურა“ და აღმოაჩინა „განძთა კუნძული“ როგორც „აიაქსის“ მწვრთნელმა.

◆ **ბატონო კოვაჩ, როგორ მოხვდით ჩვენს მხარეში?**

— მოსკოვში მიმიწვიეს ლექციების ჩასატარებლად. ორი მეცადინეობა ჩავატარე — ფეხბურთის სამმართველოსა და მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში. შემდეგ შესაძლებლობა მომეცა რომელიმე ქალაქში მენახა თქვენი ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. როგორც ხედავთ, თბილისი ავირჩიე. და იცით რატომ? დიდი სურვილი მქონდა ერთხელ კიდევ შევხვედროდი ადამიანებს, რომლებმაც ახალგაზრდობაში წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინეს.

◆ **? ? ?**

— რუმინეთში დღესაც ამტკიცებენ, რომ უცხოეთის საუკეთესო გუნდი, რომელიც ოდესმე ამ ქვეყანაში ყოფილა, ეს თბილისის „დინამოა“. მას შემდეგ ხომ 34 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა არა მარტო ფეხბურთი, არამედ მთელი ჩვენი ცხოვრება. მაგრამ ეს აზრი ურყევად დარჩა და მეც მისი ერთ-ერთი ყველაზე მხურვალე მომხრე ვარ. მაშინ მე ქალაქ კლუჟის სტუდენტურ კლუბში ვთამაშობდი და, როგორც ამ შეხვედრების მონაწილე, ვამტკიცებ, რომ ისინი უდიდესი ოსტატები იყვნენ.

◆ **მაშინ, როგორც იტყვიან, ცხელ კვალს მივყვეთ და ქართული ფეხბურთის დღევანდელობაში გადმოვინაცვლოთ.**

— მაგრამ რეზიუმესთვის დავიცვათ ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთისგან გამომდინარე სამი პირობა. მხედველობაში მიიღეთ, რომ სხვის ომში სტრატეგობა ადვილია და ამიტომ მე არასდროს ვიძლევი გაკვეთილებს, მხოლოდ გამოვთქვამ პირად მოსაზრებას, ყოველგვარი სიყალბის გარეშე. თუ კოვაჩმა თქვა, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ასე ფიქრობს:

ტორპედოელებთან მატჩი თბილისელებისთვის არ იყო სეზონის ბენეფისი, თუმცა ანგარიში შეიძლებოდა 5:0 ან 5:1 ყოფილიყო.

გუნდში წინა და უკანა ხაზი საგრძნობლად მოწყვეტილია ერთმანეთს და ამიტომ კოლექტივი დიდ დროს კარგავს შეტევის ორგანიზებისთვის — ყოვნდება მინდვრის შუაგულში და დამაგვირგვინებელ ფაზას ასრულებს არა 5-6 მოთამაშით, არამედ სამი-ოთხით. ეს კი ცოტაა. მთლიანად თამაშის მიხედვით ვიგრძენი, რომ ნოდარ ახალკაცი სწორ გზას ადგას. დაიხსომეთ ჩემი სიტყვები — დინამოელები სულ მალე მთავარ როლში გამოვლენ ევროპის სარბიელზე. ატაცებაში მომიყვანა ძმებმა მაჩაიძეებმა, კარგად თამაშობენ შენგელია და გუცაევი. ეტყობა ჯერ კიდევ ვერ არის ჩვეულ ფორმაში ყიფიანი, მაგრამ უეჭველია, რომ იგი დიდი ფეხბურთელია. მშურს „დინამოს“ გულშემატკივრებისა, რომელთაც წინა აქვთ უამრავი სასიხარულო წუთები.

◆ **როდის განიცადეთ დიდი სიხარული?**

— რატომღაც ყველა ფიქრობს, რომ ეს დაკავშირებულია „აიაქსის“ დამაჯერებელ გამარჯვებებთან, კრუიფის, ნეესკენსის, რენსენბრინკის სახელებთან, მაგრამ ჩემთვის ყველაზე სასიხარულო ის იყო, როცა, თითქმის პატარა ბიჭი, მინდორზე გამოვედი უფროს ძმასთან, მესამე მსოფლიოს ჩემპიონატიდან ახალდაბრუნებულ, რუმინეთში პოპულარულ ფეხბურთელთან ერთად. ეს იყო 1938 წელს.

◆ **სპორტის ნებისმიერ სახეობაში, და განსაკუთრებით ფეხბურთში, გაცილებით ნაკლებია უღრუბლო დღეები, ვიდრე ღრუბლიანი. თქვენ როდის გიჭირდათ ყველაზე უფრო?**

— ბელგიის ქალაქ შარლერუაში ვთამაშობდი. ჩვეულებრივ, დილით მხიარული ახალგაზრდების ჯგრო მივედით სავარჯიშოდ, მაგრამ სტადიონის კარები დაკეტილი დაგვხვდა. მოხუცი კარისკაცი სასამსახურო შესასვლელთან გველოდებოდა. „მორჩა, — თქვა მან, — ფეხბურთი დამთავრდა. ომია...“

◆ **გულუბრყვილობა იქნებოდა გვეკითხა, გიყვართ თუ არა ფეხბურთი. უმჯობესია გკითხოთ — რატომ გიყვართ იგი?**

— ფილოსოფოსობას არ დავიწყებ, უბრალოდ მოვიყვან მაგალითს ახლახან დამთავრებული მატჩიდან. როცა თქვენმა ცენტრალურმა მცველმა ჩივაძემ ბურთი თავის მეკარეს მიუგორა, ტრიბუნებმა მეგობრულად დაუსტვინეს მას. თამაშის ბოლო წუთზე კი მან ბრწყინვალე გოლი გაიტანა, რამაც მქუხარე ოვაცია გამოიწვია. როცა მინდვრიდან გადიოდა, კარგად შევამჩნიე როგორ უელავდა თვალები. ეს ფეხბურთის არსია. ეს ცხოვრებაა და მისი არშეყვარება შეუძლებელია.

◆ **თქვენი დევიზი ცხოვრებაში?**

— ვიყო ყოველთვის პირველი. ამ საკითხში, როგორც ხედავთ, ორიგინალური არა ვარ, იმიტომ, რომ ყოველი კაცი მიისწრაფვის ამისკენ — პირველი ავიდეს ტრამვაიში, რიგიდან გამოვიდეს ბილეთით ან უბილეთოდ, მაგრამ აუცილებლად პირველი. პირველმა მოირბინოს, პირველი აფრინდეს, მაგრამ... არ მოკვდეს. ფეხბურთი პირველობის უამრავ შესაძლებლობას იძლევა. განსაკუთრებით მოთამაშეებისთვის, უფრო ნაკლებად მწვრთნელთათვის.. თუმცა...

◆ **რამდენიმე სიტყვა გვითხარით „აიაქსთან“ მუშაობის თაობაზე.**

— თავიდან ძალიან გამიჭირდა. პირველ რიგში ხელს მიშლიდა ენის უცოდინარობა. ამაში მეხმარებოდა კრუიფი. მე ვუხსნიდი გერმანულად, ის კი დანარჩენებს უთარგმნიდა. მთლიანად შევცვალე ჩემამდე არსებული სათამაშო სისტემა და მოთამაშეები, საბედნიეროდ, მიხვდნენ, რომ ეს მათ სარგებლობას მოუტანდა. ვცდილობდით არა მარტო სწრაფ თამაშს, არამედ მინდორზე სწრაფ აზროვნებას. ამისთვის შემუშავდა ტესტების მთელი სისტემა, რომლებმაც მკვეთრად გაზარდა ვარჯიშის მოცულობა. ასე რომ, „აიაქსის“ გამარჯვებებს წინ უძღოდა ერთმანეთისთვის და ფეხბურთისთვის ფანატიკურად თავდადებული ხალხის კოლოსალური შრომა.

◆ **რუმინეთში სახელგანთქმული სპეციალისტის სახელით დაბრუნდით, მაგრამ არგენტინის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ფიასკოს შემდეგ უარი თქვით სამწვრთნელო მოღვაწეობის გაგრძელებაზე...**

— მაგრამ მაინც ვრჩები ამ ჯადოსნური თამაშის სამსახურში. ახლა ჩვენი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი და უეფა-ს აღმასკომის წევრი ვარ. მზად ვარ რჩევებითა და რეკომენდაციებით დავეხმარო ყველას, ვისაც ეს სურს.

მთავარია ის, რომ ოპტიმიზმით ვუყურებ მომავალს. სიამოვნებით შეგხვდებით ყველას კიდევ 25 წლის შემდეგ, რათა კვლავ ფეხბურთზე ვისაუბროთ...

თ. სულხანიშვილი.

ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილი

17 ივნისს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო ატარებს **ბავშვის საერთაშორისო წლისადმი მიძღვნილ შეჯიბრებას ველოსიპედებით.**

შეჯიბრებაში დაიშვებიან:

1974-75 წლებში დაბადებული ბავშვები საკუთარი სამთვლიანი ველოსიპედებით 50 მ დისტანციაზე.

1972-73 წლებში დაბადებული ბავშვები საკუთარი ორთვლიანი ველოსიპედებით („ორლიონოკი“, „შკოლნიკი“) 100 მ დისტანციაზე.

მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყება 17 ივნისს 9 საათსა და 30 წუთიდან „ლოკომოტივის“ სტადიონზე. შეჯიბრების მონაწილეებმა თან უნდა იქონიონ დაბადების მოწმობა.

დამატებითი ცნობებისთვის მიმართეთ შემდეგი მისამართით: **თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 52, „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო. ტელ. 95-93-96; 95-46-95.**

შეჯიბრების დასაწყისი 11 საათზე.

„სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო.

სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. **16 ივნისი.** ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „ენერგეტიკოსი“ (თერჯოლა). დასაწყისი 11 ს. ფიზკულტურის ინსტიტუტის სტადიონი. **ფიზკულტურის ინსტიტუტი** (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). 17 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1979-80 სასწავლო წლისათვის

ინსტიტუტი ამზადებს მწვრთნელებს ცალკეული სპორტის სახეობების მიხედვით, ფიზაღზრდის მასწავლებლებს, რომლებსაც ნება აქვთ იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში, ტექნიკუმებში, საშუალო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, ფიზკულტურის კოლექტივებში, სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში და სხვ.

მიღება იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

დღის სწავლების სპორტულ ფაკულტეტზე — მძლეოსნობა, სპორტული ტანვარჯიში, მხატვრული ტანვარჯიში, აკრობატიკა, ცურვა, წყალბურთი, აკადემიური ნიჩბოსნობა, ბაიდარება და კანოე, თავისუფალი ჭიდაობა, კლასიკური ჭიდაობა, ძიუდო, სამბო, კალათბურთი, ფრენბურთი, ფეხბურთი, რეგბი, ხელბურთი, ჩოგბურთი, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, თანამედროვე ხუთჭიდი, ფარიკაობა, მშდ მრავალჭიდი, ძალოსნობა, კრივი, თხილამურები, ფიგურული სრიალი, ველოსპორტი, ჭადრაკი.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე — სპორტის ძირითად სახეობებში.

სწავლების ხანგრძლივობა: დღის ფაკულტეტზე — 4 წელი, დაუსწრებელზე — 5.

დღის სწავლების სპორტულ ფაკულტეტზე შემსვლელთათვის საჭიროა სპორტული მომზადება სპეციალობაში არანაკლებ II თანრიგისა, დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე — არანაკლებ III თანრიგისა.

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტზე განცხადებები მიიღება საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირთაგან, ფიზკულტურასა და სპორტში მომუშავეთაგან (არანაკლებ ექვსი თვისა) და საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთაგან.

საბუთების მიღება იწარმოებს 20 ივნისიდან 31 ივლისის ჩათვლით. გამოცდები დაიწყება 1 აგვისტოდან.

განცხადებას უნდა დაერთოს:

1. საშუალო განათლების საბუთი (დედანი).
2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დამოწმებული დაწესებულების ადმინისტრაციის და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.
3. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (მომუშავეთათვის), დამოწმებული ადმინისტრაციის მიერ.
4. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286).
5. ოთხი ფოტოსურათი, ზომით 3X4 სმ (გადაღებული უქუდოდ).
6. საკლასიფიკაციო ბილეთი.
7. მშდ წიგნაკი.
8. პასპორტი.
9. სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.

ინსტიტუტში შემსვლელებს, რომლებსაც საშუალო სასწავლებელი წელს არ აქვთ დამთავრებული, მოეთხოვებათ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ექვსი თვისა, ყოველი იმ წლისათვის, როცა არ სწავლობდნენ.

მისაღები გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

1. სპეციალობა.
ფიზიკური მომზადება.
2. ბიოლოგია (ზეპირი).
3. ქიმია (ზეპირი).
4. მშობლიური ენა და ლიტერატურა (თხზულება).

I კურსზე ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით და საჭირო სპორტული ფორმით.

სტუდენტებს, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ნაკრებ გუნდებში, სრულყოფილი საწვრთნო პირობების შექმნის მიზნით მიეცემათ ინდივიდუალური გრაფიკით სწავლების საშუალება.

ინსტიტუტის მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49, ტელეფონი 22-00-76.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

1979 წლის 25 ივნისს, 14 საათზე ინსტიტუტის კლუბში (ი. ჭავჭავაძის გამზირი № 49) აბიტურიენტთათვის და საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის აწყობს

ღია კარის დღეს

შეხვედრის დროს მოისმენენ რექტორატის წარმომადგენელთა ინფორმაციას ინსტიტუტში მისაღები გამოცდების ჩატარების შესახებ, გაეცნობიან ინსტიტუტის ცხოვრებას.

შეხვედრის მონაწილენი დაათვალიერებენ ინსტიტუტის სპორტულ ბაზებს და ლაბორატორიებს.

რექტორატი.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. უე 07195